GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 723
თარიღი: 10 10 2014 წ.

GRASS
REFORMANDA

საქართველოს მთავარ პროკურატურას

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ წარმოდგენილი იყო აუდიოჩანაწერები, რომელიც ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებს“ შორის საუბარს ასახავდა. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, განგვიმარტოთ შემდეგი:

- რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აღნიშნული ჩანაწერების გამო?
- აღიძრა თუ არა საქმე აუდიოჩანაწერებში წარმოდგენილი პირების მიმართ ერთმანეთში წარმოებული საუბრების გამო (იმ შემთხვევაში თუკი აღნიშნული პირების მიმართ საქმე არ აღძრულა, გთხოვთ, განგვიმარტოთ მიზეზი, რის გამო არ დაიწყო საქმეზე მოკვლევა)?
- როდის აღიძრა საქმე აუდიოჩანაწერებში წარმოდგენილი პირების მიმართ?
- რამდენი პირის მიმართ აღიძრა საქმე აღნიშნული ჩანაწერების გამო?
- რა მუხლით არის აღძრული საქმე ჩანაწერებში წარმოდგენილი პირების მიმართ?
- რა პროცესშიამოცემული მომენტისათვის აღნიშნული საქმეები?
- გამოტანილია თუ არა შესაბამისი განაჩენი?
- განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, გთხოვთ, მიგვითითოთ განაჩენის შინაარსი.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო ნომერზე.

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორი

მისამართი:
თბილისი, რაზმაძის ქ. #15

საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge
nataliavakhtangashvili@gmail.com